

თავი 12

სამეურნეო ოპერაციები

აქამდე ჩვენ განვიხილეთ, სად და როგორ შეიძლება პროგრამაში საბუღალტრო გატარებების შესრულება. კერძოდ, უშეალოდ გატარებების ეკრანიდან, ხოლო ხელფასთან, ძირითად საშუალებებთან, პირველად დოკუმენტებთან, საკურსო სხვაობასთან დაკავშირებული ოპერაციების ყველა გატარება, რომელიც სრულდებოდა შესაბამის ეკრანებზი, ავტომატურად აისახებოდა, როგორც სამეურნეო ოპერაციების, ასევე გატარებების ეკრანებში.

გატარებების ეკრანში ყოველი საბუღალტრო გატარების დამატებისას ხელით უნდა მივუთითოთ სადგებეჭო და საყრედიტო ანგარიშის ნომრები, ამა თუ იმ დასაფორმირებელი დოკუმენტის დასახელება და სხვა. სისტემაში არსებობს სამეურნეო ოპერაციის მცნება, რომელიც გულისხმობს ერთი ან რამოდენიმე გატარების ავტომატურ შესრულებას, საჭირო თანხების გამოსათვლელად მათემატიკური მოქმედებების გამოყენებას, სხვადასხვა საბუღალტრო დოკუმენტების დაფორმირებას, ამა თუ იმ ანგარიშების ავტომატურ შექმნას (გახსნას) და სხვა. პროგრამა საშუალებას გაძლევთ ერთხელ დააფიქსიროთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე საჭირო ოპერაციების შესაბამისი გატარებები და შემდეგ სამეურნეო ოპერაციით, რომელიც დიალოგის სახით მიმდინარეობს, შეასრულოთ იგი. პროგრამის ამ შესაძლებლობით მარტივდება ბუღალტერიის წარმოება, მნიშვნელოვან დადის გატარებების შესრულებისას დაშვებული შეცდომები, მცირდება დრო და რაც მთავრია შესრულებული ოპერაციები ხდება გასაგები და კითხვადი, რაც თავის მხრივ აიოლებს მათ შემდგომ ანალიზს.

სამეურნეო ოპერაციების შესრულება

პროგრამაში არსებობს უკვე აწყობილი ტიპიური ოპერაციები, რომლებიც შეიძლება ნებისმიერი ორგანიზაციის ბუღალტერს გამოადგეს. შესაძლებელია ამ ოპერაციების გადაყეთება ან ახლის აწყობა. მოდით,

ჯერ განვიხილოთ, როგორ შეიძლება არსებული ოპერაციების შესრულება.

სამეურნეო ოპერაციების გამოძახება შეიძლება სამი გზით: 1. ძირითადი მენიუდან “ოპერაციები” აირჩიეთ ქვემენიუ “სამეურნეო ოპერაციები”:



2. ძირითადი ეკრანის ინსტრუმენტების პანელზე აირჩიეთ ლილაკი




3. კლავიატურაზე დაჭირეთ კლავიშების კომბინაციას - **Ctrl+3**. სამივე შემთხვევაში იხილავთ ეკრანს:

თარიღი	მომსახურები	მომსახურები	შემთხვევა
20.03.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	სისტემის აღიარებული მომსახურები	3
30.03.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	სისტემის აღიარებული მომსახურები	3
30.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების დამოუკიდებელი მომსახურები - საბაზო აღარღვევა	2
31.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების დამოუკიდებელი მომსახურები - 1.000.00	5
31.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების აღარღვევა	6
31.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების დამოუკიდებელი მომსახურები	7
30.12.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების დამოუკიდებელი მომსახურები	4

როგორც ხედავთ, აღნიშნული ეკრანი შედგება ორი ნაწილისგან.

ზედა ნაწილში ჩანს პროგრამიში არსებული შესასრულებელი ტიპიური ოპერაციების ჩამონათვალი:



შესასრულებელი ოპერაციები დალაგებულია თემატურად. კურსოდ, სალაროსთან და ბანკთან დაუავშირებული ოპერაციები დაჯგუფებულია ერთად, საქონელთან ერთად და ა.შ.


სამეურნეო ოპერაციების ეკრანის ქვედა ნაწილში ჩანს უკვე შესრულებული ოპერაციები:

თარიღი	მომსახურები	შემთხვევა	გამოყენები
20.03.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	სისტემის აღიარებული მომსახურები	3
30.03.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	სისტემის აღიარებული მომსახურები	3
30.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების დამოუკიდებელი მომსახურები - საბაზო აღარღვევა	2
31.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების აღარღვევა	5
31.05.2006 00:00:00	მომსახურების მომსახურები	კორპუსის მომსახურების დამოუკიდებელი მომსახურები	6

სამეურნეო ოპერაციების ქვედა ნაწილში გამოჩნდება ის ოპერაციები, რომელსაც შეასრულებთ ამავე ან ხელფასის, ძირითადი საშუალებების, პირველადი დოკუმენტების და ვალუტის ეკრანებში. ამ შემთხვევაში ჩანს სწორედ ის ოპერაციები, რომლებიც თქვენ შესასრულეთ: ხელფასის, ძირითადი საშუალებების, საკურსო სხვაობის და პირველადი დოკუმენტების ეკრანებში (ეს ოპერაციები შესრულდა დოკუმენტაციის წინა თავების განხილვისას). ერთადერთი ამ ეკრანში არ მოხვდება უშუალოდ გატარებების ეკრანში შესრულებული გატარებები.

თუ გსურთ ნახოთ რომელიმე კონკრეტული ოპერაციის მიერ შესრულებული გატარებები, მაშინ კურსორით მონიშნეთ სასურველი

მათგანი (მაგ. ხელფასი) და აირჩიეთ ბარათი - [გატარებები].




აქვე შესაძლებელია დააღავოთ ოპერაციის მიერ შესრულებული გატარებები თქვენთვის სასურველი თანმიმდევრობით თუ დააჭირთ ღილაკს “დაღაგება F6” -

თქვენთვის სასურველი ველების გამოჩენა-გაქრობას შესძლებთ ღილაკით “სიის აწყობა F11” -

თუ საჭირო გახდა რომელიმე გატარების გაყორექტირება ამისათვის, მონიშნეთ სასურველი მათგანი და დააჭირთ ღილაკს “გატარებები...”

- , რომლის საშუალებითაც გაისწება გატარებების ეკრანი და კურსორით მონიშნული იქნება საჭირო გატარება. გაითვალისწინეთ, რომ თუ ამ მოქმედებამდე გატარებების ეკრანი წინასწარ გაღებული არ გქონდათ, მაშინ ხსენებულ ღილაკზე დააჭირის შემდეგ გამოვა შეტყობინება:




ამიტომ ჯერ გააღეთ გატარებების ეკრანი და შემდეგ გაიმეორეთ

იგივე მოქმედებები.

მოდით, ახლა განვიხილოთ როგორ ხდება უშუალოდ რომელიმე აწყობილი ოპერაციის შესრულება.


განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, ანგარიშვალდებულმა პირმა სალაროში დააპრუნა თანხა 200 ლარის ადენტი.

ამ ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა განვსაზღვროთ სად შეიძლება იყოს მოთავსებული იგი აწყობილი ოპერაციების სიაში. საგარაულოდ ეს იქნება შემდეგ მენიუში: “ანგარიშვალდებული პირები / დებიტორები”. საჭირო ოპერაციის შესასრულებლად კურსორით მონიშნეთ იგი და 2-ჯერ დააჭირეთ შესაბამის მენიუს (ან Enter-ს ან მის წინ მოთავსებულ ნიშანს -).




როგორც ეკრანზე ხედავთ მენიუ “ანგარიშვალდებული პირები / დებიტორები” შედგება რამდენიმე ოპერაციისგან. ჩვენთვის სასურველი მათგანი “ფულის მიღება ანგალ-პირისგან სალაროში / ბანკში” უკვე მონიშნულია კურსორით. ამიტომ დააჭირეთ Enter-ს. რის შემდეგადაც დაიწყება ოპერაციის შესრულება, რომელიც დიალოგის სახით მიმდინარეობს. შესასრულებელი გატარებისთვის საჭირო ინფორმაციას, იქნება ეს ანგარიშები, თანხები თუ სხვა, მოითხოვს ცალ-ცალკე ეკრანებში. თუ ოპერაციის შემდეგ საჭირო რომელიმე საბულალტრო დოკუმენტის დაფორმირება და დაბეჭდვა, გატარების დასრულების შემდეგ ავტომატურად შესასრულებს მას.

პირველად მოითხოვება სამეურნეო ოპერაციის თარიღისა და პროექტის მითითება:



თუ გსურთ ოპერაციის შესრულება სხვა თარიღში და პროექტში შეიტანეთ შესაბამისი ცვლილებები და შემდეგ ეკრანზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს - **გვედავ >**. იხილავთ ეკრანს, სადაც უნდა მიუთითოთ თანხა:




საჭიროების შემთხვევაში (თუ წინა ეკრანში რაიმე ინფორმაცია არასწორად მიუთითეთ) შესაძლებელია უკან დაბრუნება ღილაკით - **< ჟან.**

აურიფეთ 200 და დააჭირეთ ღილაკს - **გვედავ >** ან Enter-ს. იხილავთ ეკრანს, სადაც უნდა აირჩიოთ ვალუტა:




რადგანაც მონიშნულია ქართული ლარი, ამიტომ დააჭირეთ Enter-ს. შემდეგ ეკრანში უნდა აირჩიოთ ანგარიშვალდებული პირი:




როგორც ხედავთ აღნიშნულ ეკრანზე განლაგებულია თქვენთვის ნაცნობი ღილაკები: დამატება, კორექტირება, წაშლა და სხვა. აქედან გამომდინარეობს, რომ აქვე შესაძლებელია ახალი ქვეანგარიშის დამატება, წაშლა და ა.შ.


კურსორით მონიშნეთ ანგარიში 1430 0001 - **ჭავჭავაძე დავითი** და დააჭირეთ ღილაკს - **გვედავ >**. შემდეგ ეკრანზე საჭიროა მიეთითოს ციფრი 1, თუ თანხა შემოდის სალაროში, ხოლო ბანკის შემთხვევაში - 2.




როგორც ეკრანზე ხედავთ ავტომატურად მითითებულია 1. ამიტომ დააჭირეთ ღილაკს - **გვედავ >**. ამის შემდეგ საჭიროა მიეთითოს ოპერაციის საფუძველი. მაგალითად, აურიფეთ: “**შემოტანილია ნაღდი ფული ანგარიშვალდებული პირის მიერ**”:




დააჭირეთ ღილაკს - **გვედავ >**. ამის შემდეგ პროგრამა მოითხოვს სალაროს შემოსავლის ორდერის ნომრის მითითებას:




მაგალითისთვის მიუთითეთ 10 და დააჭირეთ Enter-ს. ამით დასრულდება ოპერაციისთვის საჭირო ინფორმაციის შეტანა და ეკრანზე დაფორმირდება სალაროს შემოსავლის ორდერი:



თუ გსურთ სალაროს შემოსავლის ორდერის დაბეჭდვა აირჩიეთ ღილაკი - . ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ ღილაკი "უარი" - . ამის შედეგ გამოვა ოპერაციის დასრულების ეკრანი:



დააჭირეთ ღილაკს - . შესრულებული ოპერაციების სიაში იხილავთ ახალ ჩანაწერს:




როგორც ოპერაციის შესრულებისას ნახეთ გამოყენებული არ იყო საბუღალტრო ტერმინები, საერთოდ არ ფიგურირებდა სადებეტო (სალაროს) ანგარიში 110. ამასთანავე, ანგარიშვალდებული პირის ასარჩევად ეკრანზე იხილეთ მხოლოდ 1430 - ის ქვეანგარიში და არა მთელი ანგარიშთა გეგმა. საბუღალტრო დოკუმენტის დასაბეჭდდად არ მოგიწიათ სალაროს შემოსავლის ორდერის მოქებნა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს პროგრამის ნებისმიერ მომზარებელს (თუნდაც მას არ ჰქონდეს ბუღალტრული განათლება) მარტივად და სწრაფად შესრულოს ესა თუ ის საბუღალტრო ოპერაცია.

იგივენაირად შეიძლება სხვა ნებისმიერი ანუობილი სამეურნეო ოპერაციის შესრულება.

პროგრამა საშუალებას გაძლიერებული გაფილტროთ უკვე შესრულებული


ოპერაციების სია თარიღით, პროექტით, ოპერაციით, შემსრულებლით
და ოპერაციის ტექსტით თუ დააჭირთ ლილავს ფილტრი - .



იმისადამიხდვით რითი გსურთ შესრულებული ოპერაციების გაფილტვრა მონიშნეთ სასურველი კელი და შეიტანეთ შესაბამისი მნიშვნელობა. ფილტრის განმენდა ხდება ლილავით - . ჩვენს შემთხვევაში დააჭირეთ ლილავს - **Cancel**.

თუ გსურთ ამა თუ იმ ოპერაციის წაშლა კურსორით უნდა მონიშნოთ იგი და დააჭიროთ ლილავს - , რაც გამოიწვევს ოპერაციის მიერ შესრულებული ყველა გატარების წაშლას აქაც და გატარებების ეკრანშიდაც. ეს ძალიან მოსახერხებელი საშუალებაა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გატარებებს გაუკეთებდით ხელით გატარებების ეკრანში, მაშინ მათი წაშლისთვის უნდა მოგექმნათ ისინი, ყველა მოგენიშნათ და ისე წაგეშალათ. აქ კი, რადგანაც ხელფასის გატარებები დაკავშირდებულია ერთად, ამიტომ საკმარისია მონიშნოთ შესაბამისი ოპერაცია და წაშლოთ.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ თქვენ გატარებების ეკრანში კურსორით მონიშნული გექნებოდათ იმ ოპერაციის მიერ შესრულებული რომელიმე გატარება, რომელსაც წაშლით, მაშინ გატარებების ეკრანში დაბრუნებისას ეკრანზე იხილავთ შეტყობინებას:



ასეთ შემთხვევაში დააჭირეთ “OK” - ს. რის შემდეგადაც გატარებების ეკრანიდან ამოვარდება წაშლილი ოპერაციის მიერ

შესრულებული გატარებები.

- , სიის ანუცნას ლილავით - , ეკრანის განახლებას ლილავით
 - , ლილავი “შესრულებული ოპერაციის დოკუმენტები - **Alt+F3**“
 - , გააქტიურდება მხოლოდ ისეთი ოპერაციის მონიშვნისას, რომლის შესრულებისას დაფორმირდა ესა თუ ის საბუღალტრო დოკუმენტი. სხვა შემთხვევაში ეს ლილავი იქნება ბაცი ფერის. ამ ლილავის არჩევის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დააჭიროთ ეს დოკუმენტი.
- სამეურნეო ოპერაციების ეკრანში არის კიდევ ლილავი “ოპერაციის დამატება - **Ctrl+Ins**” - , რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

T გატარება

პროგრამაში შესაძლებელია ე.წ. T გატარების შესრულება. ამის საშუალებას სისტემა იძლევა, როგორც გატარებების (იხილეთ თავი 5 “საბუღალტრო გატარებების შესრულება”), ასევე სამეურნეო ოპერაციების ეკრანში.

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, ჩვენმა ორგანიზაციამ გაყიდა 1500 ლარის ღირებულების საქონელი (დღე-ს ჩათვლით) შემდგომი გადახდის პირობით. საჭიროა შესრულდეს შემდეგი გატარებები:

დებტი: 1410 4 - 1180 ლარი

კრედიტი: 6110 - 1000 ლარი

3330 - 180 ლარი

რადგანაც ეხლა ჩვენ განვიხილავთ სამეურნეო ოპერაციებს, ამიტომ T გატარების შესასრულებლად შესრულებული ოპერაციების ეკრანში დააჭირეთ ლილავს “ოპერაციის დამატება - **Ctrl+Ins**” - . იხილავთ ეკრანს:

საკრაიტო

თარიღი 21.03.2006 ...

დოკუმენტის N 15 დოკ. ტიპი ...

რეკვიზიტის საფუძვლი

სტანდარტი	დასახულება	ფასი	კოდი	ვალუტა	სასტანდარტო რეკვიზიტი	გამოყენების მიზანი
100.00	...	GEL	1000000	0	გადახდის აღმოჩენა	

OK Cancel

T გატარების შესრულების მაგალითი შეგიძლიათ ნახოთ დილაგით
- **?** T გატარების გაგრძილება.

Help

სტანდარტი	დასახულება	ფასი	კოდი	ვალუტა	სტანდარტობრივი მიზანი
11.10	ნახოთ ფასი მიმდევრ ვალუტაზე	100.00	GEL 100		
1 6 20 0022	კავშირები	20.00	GEL 100	4.000 საფა	
1 6 20 0023	კრედიტი	70.00	GEL 100	7.000 საფა	
1 6 20 0024	სტანდარტი	10.00	GEL 100	5.000 საფა	

100.00 20.00 70.00 10.00 GEL 100.000000 100.000000

OK

დახურეთ ეს ეკრანი “OK” დილაგზე დაჭრით.

ჩვენი მაგალითის შესასრულებლად T გატარების ეკრანში მიუთითეთ თარიღი - 21.03.2006, დოკუმენტის ნომერი - 15 და საფუძველი - “გაყიდულია 1180 ლრნბს ლირებულების საქონელი (დღე-ს ჩათვლით) შემდგომი გადახდის პირობით” შესაბამის ველებში. შემდეგ სადებულო ანგარიშის და თანხის მისათითებლად დააჭირეთ დამატების დილაგს -

[]. ეკრანზე იხილავთ:

საკრაიტო

თარიღი 21.03.2006 ...

დოკუმენტის N 15 დოკ. ტიპი ...

რეკვიზიტის საფუძვლი

სტანდარტი	დასახულება	ფასი	კოდი	ვალუტა	რაოდენობა	გრიფი	კოდი	ვალუტა
10.00	...	GEL	100000	0	გადახდის აღმოჩენა			

63065200 3430343650

OK Cancel

გაეტიურებული ველის “ანგარიში” ქვეით დააჭირეთ დილაგს - **[...]** (ან კლავიშების კომბინაციას Alt+B). იხილავთ ანგარიშთა გეგმას, სადაც აირჩიეთ 1410 4. ველში დებეტი აურიფეთ 1180 და დააჭირეთ Enter - ს.

საკრედიტო ანგარიშის და თანხის მისათითებლად კვლავ დააჭირეთ დამატების დილაგს - []. ველში “ანგარიში” აირჩიეთ 6110. რის შემდეგაც შეამწევთ, რომ გაეტიურებული იქნება ველი “კრედიტი”, სადაც განმეორებულია თანხა 1180. მის ნაცვლად აურიფეთ 1000 და დააჭირეთ Enter - ს.

მეორე საკრედიტო ანგარიშის და თანხის მისათითებლად კვლავ დააჭირეთ დამატების დილაგს - []. ველში “ანგარიში” აირჩიეთ 3330. ველში “კრედიტი” ავტომატურად ჩაჯდება თანხა 180. დააჭირეთ Enter-ს. საბოლოოდ ეკრანზე მიიღეთ:

საკრაიტო

თარიღი 21.03.2006 ...

დოკუმენტის N 15 დოკ. ტიპი ...

რეკვიზიტის საფუძვლი

სტანდარტი	დასახულება	ფასი	კოდი	ვალუტა	რაოდენობა	გრიფი	კოდი	ვალუტა
1 4 10 4	შესაბამის ველებში	1.180.00	GEL 1000000	0	გადახდის აღმოჩენა			
6 1 10	შესაბამის ველებში	1.000.00	GEL 1000000	0	გადახდის აღმოჩენა			
3 3 30	შესაბამის ველებში	180.00	GEL 1000000	0	გადახდის აღმოჩენა			


63065200 3430343650

OK Cancel


საშემწეო თანხაცემი

როგორც ეკრანის ქვედა ნაწილში ხედავთ, თქვენს მიერ მითითებულ სადებუტო და საკრედიტო თანხებს შორის ბალანსი დარღვეული არ არის. წინააღმდეგ (დისბალანსის) შემთხვევაში შესაბამის ველში დებტის ან კრედიტის მხარეს ნაჩვენები იქნება ის თანხა, რა თანხითაც იქნება დარღვეული ბალანსი.

დააჭირეთ “OK” - ს. შესრულებული ოპერაციების სიაში დაემატება ახალი ჩანაწერი.



თუ აირჩივთ ბარათს “გატარებები”, ნახავთ, რომ ამ ოპერაციაში შეასრულა ორი გატარება:




აწყობა

როგორც ოპერაციების შესრულებიდან ჩანს, ოპერაციები ერთმანეთთქმ დაკავშირებული არიან ხის მაგვარი სტრუქტურით ანუ თითოეული ოპერაცია შესაძლებელია დაიყოს ერთ ან რამოდენიმე ქვეოპერაციად, რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია კიდევ დაიყოს ქვეოპერაციებად და ა.შ.

ოპერაციების და ქვეოპერაციების ერთობლიობა განსაზღვრავს მომბმარებელთან შემდგომი დაალოგის მენიუს. ოპერაციების ხის გარკვეულ დონეზე განისაზღვრება კონკრეტული ოპერაციის შესრულება, რაც თავის მხრივ გულისხმობს კონკრეტული საბუღალტრო გატარებების შესრულებას (შესაბამისი თანხების მოთხოვნითა და გამოთვლებით) და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების ფორმირებას და ბეჭდვას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი: იმისათვის, რომ სისტემას შეესრულებინოთ იპერაცია, საჭიროა ავაგოთ ოპერაციების ხე (მენიუსა და ქვემენიუების სახით) და მის გარკვეულ დონეზე ავანგუთ ოპერაციის შესრულება თანხების (რაოდენობების, ანგარიშების) მოთხოვნით, სხვადასხვა გამოთვლებით, საბუღალტრო გატარებებით, პირველადი დოკუმენტების ფორმირებით და ა.შ.

სხვადასხვა მაგალითების საფუძველზე ვნახოთ, რეალურად, როგორ ხდება ოპერაციების აწყობა. შესასრულებელი ოპერაციების სიაში აირჩიოთ ბარათი “აწყობა”. იხილავთ ეკრანს:



ოპერაციის (ქვეოპერაციის) შექმნა და მათ შორის კავშირის განსაზღვრა შესაძლებელია ღილაკებით “მენიუ” - და “ქვემენიუ”



კონტროლული ოპერაციების ასაწყობად გამოიყენება შემდეგი ღილაკები:

- გატარება;

- ანგარიშზე მდგომარეობა;

- ფორმულა;

- მნიშვნელობა გატარებებიდან;

- ვალუტის კურსი;

- დოკუმენტის ფორმირება;

- ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირება;

- თანხის / რაოდენობის მოთხოვნა;

- ვალუტის / კურსის მოთხოვნა;

- ტექსტის მოთხოვნა;

- თარიღის / პროექტის მოთხოვნა;

- ოპერაციის კომენტარი;

- პირობა;

- დაბრუნება ცვლადზე;

- ოპერაციის დასასრული;

- გავნიოთ ერთი ხაზით მარცხნივ;

- გავნიოთ ერთი ხაზით მარჯვნივ;

- ოპერაციების ხის შეკუმშვა;

- ავნიოთ ერთი ხაზით ზევით;



- ჩამოვნიოთ ერთი ხაზით ქვევით;



- Copy;



- Paste.



- კორექტირება - F2;



- წაშლა - Delete;



- დამახსოვრება - Ctrl+S;



- მიმდინარე ოპერაციის ბეჭდვა.



- ძიება - F5;




- ოპერაციის ექსპორტი;



- ოპერაციის იმპორტი;


მაგალითისთვის ავანგოთ თანხის შემოსვლის ახალი ოპერაცია, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ორ ქვეოპერაციად: თანხის შემოსვლა ნალით და თანხის შემოსვლა უნაღდოთ, ე.ი. უნდა ავაგოთ ოპერაციების ხე. აწყობამდე აირჩიეთ ღილაკი “ოპერაციების ხის შეკუმშვა” - .

ეკრანზე იხილავთ:





ქსლა დავინტერ ოპერაციის ხის აწყობა. აირჩიეთ ღილაკი “მენიუ”


- იხილავთ ეკრანს:




აკრიფეთ “თანხის შემსულია” და დააჭირეთ “OK” - ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ დამატებული მენიუ ჩაჯდება შესასრულებელი ოპერაციების სიაში:




აკრიფეთ “ნალიდი” და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:




ქსლა დავინტერ აღნიშნილი ოპერაციის აწყობა. ამისათვის, პირველ რიგში აირჩიეთ ღილაკი “გატარება” - , რათა დავამატოთ ჩვენთვის საჭირო გატარება. იხილავთ ეკრანს:




ველში “სადეპტო ანგარიში” ღილაკით - . აირჩიეთ 110, ხოლო ველში “საკრედიტო ანგარიში” - 1410. ველში “თანხა W01” ჩაწერეთ - 100. ამ ველების შევსების შემდეგ მიიღებთ ეკრანს:



დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ ეკრანზე დაუმატება “გატარების” ცვლადი W01:




ამ ოპერაციის შესასრულებლად აირჩიეთ ბარათი “შესრულება”. იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ “Yes” - ს.


შესასრულებელი ოპერაციების სიაში კურსორით მონიშნეთ ოპერაცია “თანხის შემოსვლა” და დააჭირეთ - []. შემდეგ აირჩიეთ ქვეოპერაცია “ნაღდი” და შესასრულეთ იგი. იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ ლილაკს “შემდეგი”. იხილავთ ეკრანს:




კურსორით მონიშნეთ ანგარიში 1410 4 და კვლავ დააჭირეთ ლილაკს “შემდეგი”. იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ ლილაკს “დასასრული”. რის შემდეგაც ნახავთ, რომ თქვენს მიერ შესრულებული ოპერაცია დაემატა შესრულებული ოპერაციების სიაში:



მონიშვნელობა იგი და აირჩიეთ ბარათი “გატარებები”. იხილავთ ეკრანს:




ეს ოპერაცია არის ხისტი, რადგან ის განცუთვნილია მხოლოდ ერთი გატარების შესრულებისთვის თანხით 100 ლარი. ესლა ავანტო იპერაცია ნებისმიერი თანხისათვის. სანამ ამას გავაცემოთ წაშალეთ ბოლოს შესრულებული ოპერაცია. ამისათვის, შესრულებული ოპერაციების სიაში კურსორით მონიშვნელობა შემოთ აღნიშვნული ოპერაცია და აირჩიეთ დილავი “წაშლა” - . იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ “OK” - ს. დაინახავთ, რომ ეს ოპერაცია ამოვარდება შესრულებული ოპერაციების სიიდან. შემდეგ კვლავ აირჩიეთ ბარათი

“აწყობა”. იხილავთ ოპერაციების აწყობის ეკრანს, (ქვემენიუ “ნალი” მონიშვნული უნდა იყოს) სადაც აირჩიეთ ღილავი “თანხის / რაოდენობის მოთხოვნა” - . იხილავთ ეკრანს:



ველში “შეკვეთის ტექსტი” უკიდურეთ - “მიუთითეთ თანხა” და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ დაემატა “თანხის / რაოდენობის მოთხოვნის” ცვლადი - P01:




თანხის ცვლადის დამატების შემდეგ გააკორექტირეთ გატარება (ცვლადი **W01**), ამისათვის, მონიშვნელობა იგი და აირჩიეთ ღილავი “კორექტირება” - (ცვლადის კორექტირებას ასევე შესძლება თუ დააჭირეთ F2 - ს ან 2-ჯერ “თაგვი” - ს მარცხნია ღილავს). იხილავთ ეკრანს, სადაც ველში “თანხა W01” წაშალეთ 100. შემდეგ მის გასწროვ აირჩიეთ ღილავი “ცვლადების სია” - . იხილავთ ეკრანს:

აირჩიეთ ცვლადი P01 და დაჭირეთ "OK" - ს.

ამის შემდეგ დავამატოთ კიდევ ერთი გატარება. ამისათვის, კურსორით მონიშნეთ ცვლადი W01 და აირჩიეთ ღილაკი “გატარება”

- იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:


დაჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს :




მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ორივე გატარებაში მონაწილეობას იღებს 1410 ანგარიში, რაც გამოიწვევს ოპერაციის შესრულებისას ამ ანგარიშის სუბანგარიშების ასარჩევი სიის 2 - ჯერ გამოტანას. ამის თავიდან ასაცილებლად წინასწარ მოვითხოვთ ეს ანგარიში და მისი შესაბამისი ცვლადი გამოვიყენოთ გატარებებში.

ამისათვის, კურსორით მონიშნეთ ცვლადი P01 და აირჩიეთ ღილაკი “ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირება” - იხილავთ ეკრანს:


ველში “ანგარიში” ღილაკით - აირჩიეთ 1410 ანგარიში, ველში “შეკითხვის ტექსტი” აურიცეთ “აირჩიეთ მყიდველი” და მონიშნეთ ველი “სუბ ანგარიშის არჩევა” (იმისათვის, რომ სისტემამ იპერაციის შესრულების დროს ეკრანზე გვიჩვენოს ისეთი ანგარიშის მოთხოვნის ეკრანი, რომელსაც არ აქვს გახსნილი არცერთი სუბანგარიში). ველების შეცვლის შემდეგ ეკრანს ექნება შემდეგი სახე:



დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ “ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირების” ცვლადი ა01.




კურსორით მონიშნეთ ცვლადი W01 (პირველი გატარება) და დააჭირეთ კორექტირების ღილაკს - ველის “საკრედიტო ანგარიში” გასწორივ აირჩიეთ ღილაკი - იხილავთ ეკრანს:



აირჩიეთ ცვლადი A01 და დააჭირეთ “OK” - ს. შემდეგ პირველი


გატარების მსგავსად გაჯურებულირეთ ცვლადი W02 (მეორე გატარება), სადაც ველის “სადებეტო ანგარიში” გასწორივ მდებარე ღილაკის - დახმარებით აირჩიეთ ცვლადი A01 და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:



ამის შემდეგ დაამატეთ მესამე გატარება. ამისათვის, მონიშნეთ ცვლადი W02 და აირჩიეთ ღილაკი “გატარება” - ველში “სადებეტო ანგარიში” მიუთითეთ ცვლადი A01, “საკრედიტო ანგარიში” - 3330, ხოლო ველში “თანხა” - W02*0.18. დააჭირეთ “OK” - ს.


იმისათვის, რომ ვნახოთ როგორ შესრულდება ეს ოპერაცია აირჩიეთ ბარათი “შესრულება”, კითხვაზე “დავიმახსოვროთ ანცობილი ოპერაციები?” უპასუხეთ “Yes”.

შესასრულებელი ოპერაციების სიაში მოძებნეთ თქვენს მიერ დაამატებული ოპერაცია და შესასრულეთ იგი. თარიღის მითითების შემდეგ სისტემა მოგთხოვთ თანხის მითითებას:




აკრიფეთ მაგ: 120 და დააჭირეთ ღილაკს “შემდეგი”. ამის შემდეგ იხილავთ 1410 ანგარიშის ქვეანგარიშებს, სადაც აირჩიეთ 1410 4 და დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ღილაკით. ეკრანის ქვედა ნაწილში

იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ ოპერაციას. ამ ოპერაციის გატარებების სანახავად, მონიშნეთ იგი და აირჩიეთ ბარათი “გატარებები”. იხილავთ ეკრანს:




როგორც ნახეთ სისტემამ მხოლოდ ერთხელ მოგთხოვათ 1410 - ს ქვეანგარიშის მითითება და ავტომატურად ჩასვა იგი სამივე გატარებაში. აირჩიეთ ბარათი “ოპერაციები” და წაშალეთ თქვენს მიერ ბოლოს შესრულებული ოპერაცია (ღილაკი -).


მოდით, ეხლა ოპერაციას მოვათხოვნინოთ დოკუმენტის ნომერი და საფუძველი. ამისათვის, აირჩიეთ ბარათი “აწყობა” და შემდეგ ღილაკი “ტექსტის მოთხოვნა” - . იხილავთ ეკრანს:



ველში “შეკითხვის ტექსტი” აურიცეთ “დოკუმენტის N”, მონიშნეთ ველი “დოკუმენტი” და დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ თქვენს მიერ აწყობილ ოპერაციაში დაემატა ტექსტის მოთხოვნის ცვლადი - T01. შემდეგ კურსორით მონიშნეთ ცვლადი A01 და კვლავ აირჩიეთ ღილაკი “ტექსტის მოთხოვნა” - . ველში “შეკითხვის ტექსტი” აურიცეთ “მიუთითეთ საფუძველი” და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:




ამის შემდეგ კურსორით მონიშნეთ ცვლადი W01 და დააჭირეთ კორექტირების ღილაკს - . ველში “დოკუმენტი” ღილაკის - დახმარებით აირჩიეთ ცვლადი T01, ხოლო ველში “საფუძველი” - ცვლადი T02, უნდა მიიღოთ შემდეგი ეკრანი:




დააჭირეთ “OK” - ს. W02 და W03 გატარებებში ასევე მიუთითეთ დოკუმენტის ნომრის ცვლადი - T01.

ვთქვათ, თანხა შემოდის სხვადასხვა ვალუტაში და გულის ოპერაციის შესრულებისას დააფიქსიროთ ვალუტა. ამისათვის, თანხის მოთხოვნის შემდეგ სისტემას მოვათხოვნინოთ ვალუტა, რომელიც ასევე უნდა აისახოს შესაბამის გატარებებში. მონიშნეთ ცვლადი P01 და დააჭირეთ

ღილაკს “ვალუტის / კურსის მოთხოვნა” - იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:



დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ ვალუტის მოთხოვნის ცვლა-დია V01. ამის შემდეგ გააკორექტირეთ პირველი გატარების ცვლადი V01 და ველში “ვალუტა” ღილაკით - აირჩიეთ ცვლადი V01.




დააჭირეთ “OK” - ს.


ანალოგიური ცვლილებები შეიტანეთ W02 და W03 ცვლადებში.

ახლა ვნახოთ თუ როგორ შეიძლება შესრულდეს არჩეული ვალუტის შესაბამისი გატარება, ანუ თუ ავირჩევთ ეროვნულ ვალუტას შესრულდეს გატარება: დ.1110 - კ.1410; ხოლო თუ ავირჩევთ უცხოურ ვალუტას - დ.1120 - კ.1410.


ამისათვის, მონიშნეთ ცვლადი W01 და დაამატეთ ახალი გატარების ცვლადი, რომლის ველები შეავსეთ შემდეგნაირად:



იმისათვის რომ ოპერაციამ განასხვაოს, ვალუტის არჩევის დროს რომელი გატარება უნდა შესრულდეს, საჭიროა დავწეროთ პირობა. ამისათვის, მონიშნეთ T02 ცვლადი და აირჩიეთ ღილაკი “პირობა” - იხილავთ ეკრანს:




ველის “თუ” გასწორივ დააჭირეთ ღილაკს - იხილავთ ცვლადების სიას, სადაც აირჩიეთ V01 ცვლადი. ხოლო მეორე ველში დააჭირეთ ღილაკს - და აირჩიეთ ტოლობის ნიშანი =, მესამე ველში აურიცეთ @GEL (სადაც @ ნიშავს სიმბოლურს), ხოლო ველში “წინააღმდეგ შემთხვევაში გადავიდეთ ცვლადზე” ღილაკით - აირჩიეთ W04. ველების შეესტების შემდეგ ეკრანს ექნება სახე:




ე.ი თუ პირობა იქნება ჭეშმარიტი, შესრულდება W01 გატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში - W04. დააჭირეთ OK - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ პირობის ცვლადია 101.

იმისათვის რომ სისტემამ W01 გატარების შემდეგ არ


შესარულოს W04 გატარებაც, ამისათვის მონიშნეთ ცვლადი W01 და აირჩიეთ ღილაკი “დაპრუნება ცვლადზე” - . იხილავთ ეკრანს:



ველში “გადაცვიდეთ ცვლადზე” ღილაკის - დახმარებით აირჩიეთ ცვლადი W02, ხოლო ველი “შეტყობინების ტექსტი” გაასუფთავეთ. რაც იმას ნიშნავს რომ W01 გატარების შესრულების შემდეგ, სისტემა ავტომატურად გადავა W02 ცვლადზე. დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:



სისტემა ასევე საშუალებას გაძლიერებული წინასწარ გამოითვალით წერისმიერი მნიშვნელობა და გამოითვლილი სიდიდე გამოიყენოთ წებისმიერ გატარებაში. ვთქვათ, გამოვითვალით მეორე გატარებაში (W02) გამოითვლილი თანხის 18 პროცენტი და მიღებული შედეგი ჩატვათ მესამე გატარებაში (W03). ამისათვის მონიშნეთ ცვლადი W02 და აირჩიეთ ღილაკი “ფურმულა” - . იხილავთ ეკრანს:



ღილაკის “ცვლადების სია” - დახმარებით ეკრანი შემდეგნაირად შეავსეთ:




დააჭირეთ “OK” - ს. ნახავთ, რომ მეორე გატარების შემდეგ დაემატა “ფურმულის” ცვლადი - F01.


ამის შემდეგ გაგურებული ფურმულის ცვლადი W03 და ველში “თანხა” “W02*0.18” - ის მაგივრად აირჩიეთ ცვლადი F01. დააჭირეთ OK - ს.

ოპერაციებში სპეციალური ფუნქციების გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის ანგარიშების, გატარების და ა.შ. რეკვიზიტების ამოღება. ერთ-ერთ მაგალითზე განვიხილოთ, როგორ შეიძლება ოპერაციებში ამ ფუნქციების გამოყენება. დავუშვათ, გვინდა ოპერაციის შესრულების დროს არჩეული მყიდველის, ანუ 1410 ანგარიშის რომელიმე ქვენგარიშის დასახელების ამოღება, რათა ის გამოვიყენოთ ოპერაციის რომელიმე მომდევნო ცვლადში.

მონიშნეთ ცვლადი A01 და დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ “ფურმულის დამატების” ეკრანს. ამ ეკრანში შესაძლებელია წებისმიერი ფურმულის, მეთემატიკური მოქმედების და ასევე სხვადასხვა ფუნქციების გამოყენება. სისტემაში არსებული ფუნქციების სიას ნახავთ თუ აირჩევთ ამავე ეკრანში არსებულ ღილაკს “სხვა ფუნქციები” - . იხილავთ ეკრანს:




ამ ეკრანში მოცემული ფუნქციები აღწერილია ფაილში **functions.doc** რომელის ნახვასაც შესძლებთ თუ დააჭირთ ღილაკს - ან მარშრუტით: **C:\ORIS\Docs** საქაღალდეში. ეკრანი შეავსეთ შემდეგნაირად:




დააჭირეთ “Ok” - ს. ნახავთ, რომ დაემატა ფორმულის ცვლადი F02. ამ ფორმულით ოპერაციის შესრულების დროს სისტემა ამოიღებს A01 ცვლადში დაფორმირებული ანგარიშის (ჩვენს შემთხვევაში 1410 4) დასახელებას.

იმისათვის, რომ თვალნათვლივ გამოჩნდეს შესრულებული ოპერაციის შენარჩუ, გამოვიყენოთ ღილაკი “ოპერაციის კომენტარი” - მონიშნეთ ცვლადი W03 და და აირჩიეთ ოპერაციის კომენტარის ღილაკი. იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




როგორც ეკრანზე ხედავთ, სწორედ ამ ცვლადში ვიყენებთ F02 ფორმულაში დაფორმირებულ ანგარიშის დასახელებას. დააჭირეთ **OK**

- ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ “ოპერაციის კომენტარი” - ს ცვლადია **U01**.




დაიმატეთ ანყობილი ოპერაცია ღიალური “დამახსოვრება” - და მის შესასრულებლად გადადით ბარაში “შესრულება”.


შესასრულებელი ოპერაციების სისმი მოქმენეთ თქვენს მიერ ანყობილი ოპერაცია და გაუშვით შესრულებაზე. თარიღის მითითების შემდეგ სისტემა მოგთხოვთ დოკუმენტის ნომრის მითითებას:




აურიცეთ 5 და დააჭირეთ ღილაკს “შემდეგი”. იხილავთ თანხის მოთხოვნის ეკრანს, სადაც მიუთითეთ 150. თანხის მითითების შემდეგ იხილავთ ვალუტების სიას, საიდანაც უნდა აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ვალუტა:



ჩვენს შემთხვევაში აირჩიეთ “ამერიკული დოლარი” და დააჭირეთ ლილაკს “შემდეგი”. გამოსულ ეკრანში აირჩიეთ 1410 4 ქვეანგარიში და დააჭირეთ ლილაკს “შემდეგი”. ეკრანზე იხილავთ საფუძვლის მოთხოვნის ეკრანს:




აკრიფეთ: “გადახდილია ვალი” და დააჭირეთ ლილაკს “შემდეგი”, ხოლო შემდეგ “დასასრული”. იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ ოპერაციას:




როგორც ხედავთ თქვენის კომენტარში გამოჩნდა სრული ინფორმაცია ამ თქვენის შესახებ. თქვენის შესაბამისი გატარებების

სანახავად აირჩიეთ ბარათი “გატარებები”. იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ, რადგანაც თქვენის შესრულების დროს ავირჩიეთ უცხოური ვალუტა, შესრულდა გატარება დ.1120 - კ.1410 4 და შესაბამისად გატარებების ველში “ვალუტა” ზის არჩეული ვალუტის აბრევიატურა.


ნაშალეთ ბოლოს შესრულებული თქვენიაცია (ლილაკი -), განვიხილოთ სისტემის კიდევ ერთი შესაძლებლობა ანუ თქვენის შესრულების დროს დავაფორმიროთ პირველადი დოკუმენტი. მაგალითად, სალაროში ლარის შემოსვლის გატარებას (W01) მოჰყვეს სალაროს შემოსვლის ორდერი. ამისათვის, მონიშნეთ ცვლადი W01 და აირჩიეთ ლილაკი “დოკუმენტის ფორმირება” - . იხილავთ ეკრანს:




ველის “დოკუმენტი” გასწორივ აირჩიეთ ლილაკი - . იხილავთ ეკრანს:



გახსენით საქალალდე “Pirveladi formebi”. იხილავთ ეკრანს, რომელშიც გახსენით საქალალდე “Shevsebuli”. იხილავთ ეკრანს:




კურსორით დადექით ჩანაწერზე “Salarios shemosavilis orderi.rl” და დაჭირეთ “Open” - ს. იხილავთ ეკრანს:




ღილაკით - შეგიძლათ გამოიძახოთ გამომავალი ფორმების აწყობის მოდული (იხ. თავი 13 “გამომავალი დოკუმენტების ფორმირება / აწყობა”), სადაც ნახავთ, თუ, როგორ არის აწყობილი სალაროს შემოსავლის ორდერი და საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ შეიტანოთ მასში გარკვეული ცვლილებები.

დაჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც ნახავთ, რომ “დოკუმენტის ფორმირების” ცვლადია D01.



ეხლა დაიმახსოვრეთ ეს ოპერაცია და აირჩიეთ ბარათი “შესრულება”. შესრულება აღნიშნული იქნება ცალკეული თარიღის და პროცესის მითითების შემდეგ არის დოკუმენტის ნომერი 5, შემდეგ თანხა - 150. მომდევნო ეკრანზე აირჩიეთ ვალუტა - “ქართული ლარი”, შემდეგ ანგარიშთა სიაში აირჩიეთ - 1410 4, მიუთითოთ საფუძველი - “პროდუქციის ღირებულება”. მომდევნო ეკრანზე იხილავთ სალაროს შემოსავლის ორდერს:



ამ ეკრანიდან გამოსასვლელად აირჩიეთ ღილაკი - . შემდეგ დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ღილაკით. ეკრანზე იხილავთ თქვენს მიერ შესრულებულ ოპერაციას.

ამით დასრულდა ოპერაციების აწყობის ერთ-ერთი პატარა მაგალითი.


მაგარიშის ავტომატური გახსნა

ანგარიშის ავტომატური გახსნა გულისხმობს უკვე არსებული ანგარიშის მსგავსი სუბანგარიშის გახსნას ოპერაციის შესრულების დროს. ვთქვათ, საჭიროა შესრულდეს შიდა ბრუნვის ოპერაცია, რომელიც მაგალითად, 1610 ანგარიშზე ალრიცხულ სასაქონლო სუბანგარიშებს 00002 - “კომპიუტერი” და 00003 - “ფაქსი” გადაიტანს 1690 ანგარიშზე (“სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი”). ოპერაციის შესრულებისას სისტემა ავტომატურად უნდა გახსნას ანგარიშები 1690 00002 - “ფაქსი”, 1690 00003 - “კომპიუტერი” და შეასრულოს საქონლის გადატანის გატარებები:


დებტი - 1690 00002	კრედიტი - 1610 00002	1 ც.
დებტი - 1690 00003	კრედიტი - 1610 00003	2 ც.

ასევე გატარებების თანხები გამოთვლილი უნდა იყოს FIFO მეთოდით.


ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედებების შესასრულებლად სამეურნეო ოპერაციებში აირჩიეთ ბარათი “აწყობა”, ხოლო შემდეგ დააჭირეთ ღილაკს - . მოქმედეთ იპერაცია “საქონელი დღგ - 18%” და დააჭირეთ ღილაკს - . იხილავთ ეკრანს:




კურსორით მონიშნეთ ოპერაცია “რეალიზაცია” და აირჩიეთ ღილაკი “მენიუ” - . იხილავთ ეკრანს, სადაც გააქტიურებულ ველში ფრიცეთ “შიდა ბრუნვა” და დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:




ეხლა აირჩიეთ ღილაკი “ანგარიშის მოთხოვნა / ფორმირება” - , იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:




კვლავ აირჩიეთ ღილაკი - . იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც აირჩიეთ ბარათი “გაერთიანება”:




პირველი ველის გასწვრივ ღილაკით - აირჩიეთ ანგარიში 1690. ხოლო მეორე ველის გასწვრივ ღილაკით - აირჩიეთ ცვლადი A01. შემდეგ მონიშნეთ (დააჭირეთ “თაგვი” - ს მარცხენა ღილაკს) ველი “გავსნათ ანგარიში თუ არ არსებობს”. ველების შევსების შემდეგ იხილავთ ეკრანს:




ეს ნიშნავს იმას, რომ 1690 ანგარიშს გაესწერება A01 ანგარიშის ბოლო დონის ქვეანგარიშები. დააჭირეთ “OK” - ს. იხილავთ ეკრანს:



ეხლა აირჩიეთ ღილაკი “თანხის / რაოდენობის მოთხოვნა” - , იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




დააჭირეთ “OK” - ს. შემდეგ აირჩიეთ ღილაკი “გატარება” - . იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




როგორც ეკრანის ქვედა ნაწილში ხედავთ მონიშნულია ველი - "FIFO", რაც გულისხმობს იმას, რომ ოპერაციის შესრულებისას გატარებებში თანხები გამოვლილი იქნება ამ მეთოდით. დაჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს, სადაც დაინხავთ, რომ დაემატა გატარების ცვლადი W01. შემდეგ აირჩიეთ ღილაკი "დაბრუნება ცვლადზე" -

იხილავთ ეკრანს, რომელიც შემდეგნაირად შეავსეთ:




დაჭირეთ "OK" - ს. იხილავთ ეკრანს:



მოდით ვწარით, როგორ შესრულდება ეს ოპერაცია. ამისათვის, აირჩიეთ ბარათი **"შესრულება"**. კითხვისება **"დავიმახსოვროთ აწყობილი ოპერაციები?"** უპასუხეთ **"Yes"**.

სანამ ამ ოპერაციას შეასრულებდეთ, ნახეთ სისტემაში არსებულ ანგარიშთა გეგმაში 1690 ანგარიში, რათა დარწმუნდეთ, რომ მასზე არ არის გახსნილი სასაქონლო ქვეანგარიშები. ამისათვის, გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა და მოძებნეთ ანგარიში 1690:




როგორც ეკრანზე ხედავთ 1690 ანგარიშს არ აქვს გახსნილი სასაქონლო ქვეანგარიშები.

მოდით, დაეუპრუნდეთ თქვენს მიერ აწყობილ **"შიდა ბრუნვის"** ოპერაციას. აღნიშნული ოპერაციის შესრულების შემდეგ 1690 ("სხვა სასაქონლო - მატერიალური მარაგი") ანგარიშს უნდა გაეხსნას სასაქონლო ქვეანგარიშები კოდით - 00002 ("კომპიუტერი") და 00003 ("ფაქსი"), რომელიც გახსნილი აქვს 1610 ანგარიშის სუბანგარიშს.


შესასრულდებოდი ოპერაციების სიაში მოძებნეთ ოპერაცია „შედა პრუნვა“ და გაუშვით შესრულებაზე. თარიღისა და პროექტის მითითების შემდეგ იხილავთ ეკრანს:



კურსორით მონიშნეთ სასაქონლო ანგარიში 1610 1 1 00002 „კომპიუტერი“ და დაჭირეთ ლილაკს „შემდეგი“. იხილავთ ეკრანს:



მიუთითეთ 1 და დაჭირეთ ლილაკს „შემდეგი“. იხილავთ ეკრანს:



რადგნაც უკვე მონიშნულია ველი „კი“ დააჭირეთ ლილაკს „შემდეგი“. კვლავ იხილავთ 1610 ანგარიშის სუბანგარიშებს, სადაც აირჩიეთ 1610 1 1 00003 და დააჭირეთ ლილაკს „შემდეგი“. მიუთითეთ რაოდენობა 2. იხილავთ თქვენთვის ნაცნობ ეკრანს, სადაც მონიშნეთ ველი „არა“ და კვლავ დააჭირეთ ლილაკს „შემდეგი“. ბოლოს დაასრულეთ ოპერაცია შესაბამისი ლილაკით. იხილავთ ეკრანს:

ოპერაციის შესაბამისი გატარებების სანახვად აირჩიეთ ბარათი „გატარებები“. იხილავთ ეკრანს:

როგორც ხედავთ სისტემაზე სასაქონლო კოდები 00002 „კომპიუტერი“ და 00003 „ფაქსი“ ავტომატურად გახსნა 1690 ანგარიშზე. აგრეთვე, 1ც. „კომპიუტერი“ და 2ც. „ფაქსი“ გადატანა 1610 ანგარიშის ქვეანგარიშიდან 1690 - ზე და გამოითვალიარებულია თანხები FIFO მეთოდით.